პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 242 (6297)

12 დეკემბერი 1978 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხელბურთი

...ირველად!

დამთავრდა ვაჟთა XII საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

●

...ბილისის XII საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა დღეს ...ურებულ ინტერესს იწვევ... სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკ... ნაკრებთა შეხვედრა. საქ... გახლდათ, რომ პირველი ად... ბედი ფაქტიურად მათ ორ... ძოლაში უნდა გადაწყვეტილ... მონრეალის ოლიმპიადის ... ნს, საბჭოთა კავშირის ... სამივე მატჩი ჰქონდა მო... ლი, ხოლო მსოფლიო ორგზის ... ნმა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრე... მხოლოდ ერთი ქულა დაჰკა... საბჭოთა ხელბურთელებს წა... ების შემთხვევაში შეჯიბრე... დამთავრებამდე ტურნირი ადრე ... ნველყოფილი ექნებოდათ გა... ება.

...ულიევ ამან განაპირობა მა... დაძაბული ხასიათი. შეიძლე... ...ქვეს, რომ ეს ასპარეზობა ...ოსლ იყო არა მარტო ბო... ...ბა ტურნირში, არამედ მთელს ... ...ირეში. მატჩი საბჭოთა ხელ... ...ულების იერიშით დაიწყო: 2:1, 5:3, 11:7 და 15:10 — ...ლი ტაიმის შედეგი. თითქოს ... მთავარ გუნდს ადვილად უნ... ...ყოფა საფიდელისათვის, მაგ... ...ეორე ტაიმის დასაწყისში ჩე... ...ოვაკელებმა შეძლეს ანგა... ... სხვაობის შემცირება, ხო... ...მე-13 წუთზე ე. გომულკამ ...ფრობა აღადგინა — 17:17. ...ერთი წუთი და ზუსტად გა... ...ებული 7-მეტრიანი საჯარი... ...ტყმის შემდეგ წინ უკვე ...ები გავიდნენ, შემდეგ კი ...ანს ანგარიში ფრე იყო — 19:19, 20:20, 21:21, 22:22. ... ორი წამი — ჩეხოსლოვა... ...ა კარში შვიდმეტრიანი ინი... ... მაგრამ აქ უკვე მეკარე მა... ...ურნერმა იმარჯვა და საბჭოთა ...ბა პირველი ქულა დაკარგა. ...დანზე საასპარეზოდ რუმინ... ... და საქართველოს გუნდე... ...მოვიდნენ. ჩვენმა გუნდმა, ...ც ნაკრების ორ წევრთან ...ლოგოვთან და ა. ტაბიძეს... ...თან ამ დღეს ავადმყოფ... ...ამო არ თამაშობდა კოლექ... ...ტივეთსო ბომბარდირი გ. ...ნიძეც, მედგარი წინააღმდე...

(დასასრული მე-4 გვ.).



...ათზე: გამარჯვებულთა ...ი — ჩეხოსლოვაკიის ნა... ...ვადმყოფი ბურთი გაი... ...ერცლის პრიზიორი გახ...

ე. ხუციურაულის ფოტო.

წინ საინტერესო შეხვედრებია

შაბათს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ყველა პარტია მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. მეორედ არ შედგა თ. გიორგაძის შეხვედრა ი. რაზუვაევთან, რომელიც კვლავ ავადმყოფობდა.

ჰ. კასპაროვ — ლ. პოლუგაევსკის პარტია, როგორც ვიუწყებოდით, ასეთ პოზიციაში გადაიდო:



მოსალოდნელი იყო დიდოსტატის ხანგრძლივი და თავგამოდებული წინააღმდეგობა, მაგრამ შეხვედრა ძალიან სწრაფად დამთავრდა.

42. ... კ:g3+ (პოლუგაევსკის ჩაწერილი სვლა) 43. მფh3 კe1 44. a4! (კასპაროვს მოწონს ეს სვლა, რადგან ამ გზით ავიწროებს მეტოქის მეფეს და წარმატების მიღწევაც შეიძლება) 44. ... მa5 (როგორც საშინაო ანალიზმა აჩვენა 44. ... ეg3+ 45. მფh2 ე:c3 46. ე:c3 კ:c3 47. ეh7 შემთხვევაში თეთრები იგებენ, ამიტომ დიდოსტატი ცდილობს „წყლის ამღვრევას“. და სწორედ ამ დროს, მოულოდნელად „ფეხი ეშლება“, არღვევს სვლის რიგს და დაუყოვნებლივ აგებს) 45. ეb4+ მფc5?? (საჭირო იყო ჯერ 45. ... მფc6 და მხოლოდ შემდეგ 46. ეa6 მფc5. ამ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა შეუპოვარი წინააღმდეგობა) 46. ეf5+ და პოლუგაევსკი დანებდა.

ე. გელერმა ო. რომანიშინთან პარტიაში ზუსტი თამაშით შეძლო უპირატესობის რეალიზება. ეს იყო ლვოველი დიდოსტატის პირველი წაგება ამ ჩემპიონატში. პირველად დამარცხდა, აგრეთვე, ე. სვეშნიკოვი. მხოლოდ სამი სვლა დასჭირდა ს. მაკარიჩევს, რომ სვეშნიკოვს თავისი პოზიციის უმედობა ეღიარებინა. ბ. გულკომ გაუფრთხილებლად ითამაშა გ. კუზმინთან და სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი დაუშვა, რასაც ყაიმი მოჰყვა. ბოლოს დამთავრდა გ. ტიმოშჩენკო — ა. ბელიავსკის შეხვედრა. 67-ე სვლაზე გაიმარჯვა ბელიავსკიმ და ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

6 ტურის შემდეგ ა. ბელიავსკის 4,5 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მ. ტალი და ჰ. კასპაროვი, ხოლო ს. მაკარიჩევს, ო. რომანიშინს, ე. სვეშნიკოვსა და ვ. ცეშკოვსკის 3,5-3,5 ქულა აქვთ.

რა შეიძლება ითქვას ჩემპიონატის სტარტზე? პირველ ყოვლისა, გვახარებს ახალგაზრდა მოჭადრაკეების, განსაკუთრებით ნორჩი ბაქოელის, 15 წლის კასპაროვის მოულოდნელი მაღალი ადგილი. ნამდვილად, არ მახსოვს მსგავსი შემთხვევა ჩემს ნახევარსუკუნოვან საჭადრაკო პრაქტიკაში, შესაძლოა, რომ ამ ასაკში მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და ექს-ჩემპიონი რ. ფიშერი მიუახლოვდნენ ექსტრა-კლასის მოჭადრაკეობას. რა თქმა უნდა, ტურნირი კიდევ წინაა და ნაადრევია კასპაროვის პოტენციურ შესაძლებლობებზე საუბარი, რადგან მან უნდა განამტკიცოს წარმატება და შეჯიბრების ბოლომდე იბრძოლოს საპრიზო ადგილებისთვის.



გვახარებს ჩემპიონატის დებიუტანტის ს. მაკარიჩევის კარგი სტარტიც. იგი 25 წლისაა, მაგრამ უძლიერეს დიდოსტატებთან პაექრობა პირველად უხდება. შეჯიბრებამდე ამბობდნენ, რომ მაკარიჩევი ყველასთვის საშიში მეტოქე იქნებაო. ზოგს ამის არ სჯეროდა, ახლა ალბათ ისინი აზრს შეიცვლიან.

საერთოდ ჩემპიონატი საინტერესოდ, უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს. 53 პარტიიდან 36 ყაიმით რომ დამთავრდა, იმაზე მეტყველებს, რომ ძლიერია შეჯიბრების შემადგენლობა.

კვირას ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ. თბილისის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — ჩემპიონატის შეფებმა — მონაწილეებს გააცნეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები, მიღწევები კულტურულ ცხოვრებაში. ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ მოჭადრაკეებს.

გუშინ გაიმართა VII ტური. დღეს VIII ტურში ერთმანეთს ხვდებიან: გიორგაძე — კასპაროვი, ტალი — მაკარიჩევი, ა. მიხალჩიშინი — ა. ბელიავსკი, ვ. ცეშკოვსკი — პოლუგაევსკი, რომანიშინი — ვ. ტუკმაკოვი, სვეშნიკოვი — გ. კუზმინი, გელერი — ვ. ბაგიროვი, ი. დორფმანი — ტიმოშჩენკო, გულკო — რაზუვაევი.

ვ. მიქენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

6 ტურის შემდეგ

ფრუნზე, 11 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის VI ტურში ნ. გურიელმა ტ. ჩეხოვასთან (მოსკოვი) მანევრული თამაშით კომბინაციური პოზიცია შექმნა, შემდეგ ფიგურა შეწირა მეტოქეს და გაიმარჯვა. მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) სიცილიურ დაცვაში, რომელიც ლ. ლესენკომ (კიევი) აირჩია, გრძელი როქის შემდეგ მძაფრი ბრძოლა გააჩაღა. გართულებებში ლიტინსკაიამ აჯობა მეტოქეს და გარდუვალი შამათის მუქარით მას ფარ-ხმალი დააყრევინა. თ. ვორონოვამ მეთოდურ თამაშში, რაც ესპანურ პარტიას მოჰყვა, ორი პაიკი მოუგო ტ. მოროზოვას (ოდესა) და მალე პარტიაც.

ნ. იოსელიანმა ნ. ტიტორენკოსთან (მოსკოვი) შეხვედრაში ორი პაიკის შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ მისი იერიში მეტოქის აწყობილ დაცვას წააწყდა და ყაიმს დასჯერდა.

თ. ხუგაშვილმა უპირატესობა მიიღო ტ. ფომინასთან (ტალინი), მაგრამ დაჰკარგა იგი და პარტია ეტლების უარეს ენდშპილში გადადო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ფიქსირებულ იქნა შემდეგი შედეგები: ლიტინსკაიამ სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში ზუსტი სვლებით სძლია ფომინას. ხუგაშვილი დამარცხდა მოროზოვასთან და ფომინასთან. სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. სემიონოვამ (კიევი) პირველად გაიმარჯვა — მხედრების ენდშპილში მოროზოვას მოუგო. კარგად თამაშობდა ჩეხოვა ლიტინსკაიასთან და მატერიალური უპირატესობის რეალიზებით აქტიეში მეორე გამარჯვება ჩაწერა.

ჭადრაკი

გურიელს დიდოსტატ ტ. ზატულოვსკაიასთან (მოსკოვი) ეტლების ენდშპილში პაიკი აკლდა, მაგრამ დაცვის ზუსტ გეგმას მიაგნო. პარტნიორები დაზავდნენ თამაშის გაგუბულებლად. ზატულოვსკაიას არც ლ. საუნინასთან (სვერდლოვსკი) განუახლებია თამაში, ისე მიულოცა მეტოქეს გამარჯვება.

რანიკუს, რომელსაც პაიკი აკლდა იოსელიანთან ეტლების ენდშპილში, შეუპოვარი თამაში დასჭირდა ნახევარი ქულის გადასარჩენად. მერე მან შეძლო საუნინას დამარცხება.

ფომინა დაუზავდა ლისენკოს, ზატულოვსკაია — ლ. ზაიცევას (მოსკოვი).

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან მ. რანიკუ — 5,5 ქულა, ნ. გურიელი — 4,5, მ. ლიტინსკაია — 4, ნ. იოსელიანს 2,5 ქულა აქვს, თ. ხუგაშვილს — 2.

გ. მაჰაშარიანი.

...ანგარეში

მოაქვთ მსოფლიოს თასები

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს „იბირაპუერას“ სპორტის სასახლის თაღებქვეშ ორჯერ გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჩვენი სპორტსმენების გამარჯვების აღსანიშნავად.

მსოფლიოს თასის შარშანდელმა მფლობელმა, 17 წლის მარია ფილატოვამ (ლენინს-კუზნეცკი) კვლავ დაამტკიცა თავისი უპირატესობა. მან მრავალჭიდში 38,75 ქულა მოაგროვა და მეორედ მოიპოვა საპატიო ჯილდო. გამარჯვებულს 0,3 ქულით ჩამორჩა სილვია ჰინდორფი (გდრ). მესამე ადგილზეა სსრ კავშირის თასის მფლობელი, 17 წლის როსტოველი ნატალია შაპოშნიკოვა — 38,4.

ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, 21 წლის ლენინგრადელი ალექსანდრე დიტიატინი — 58,1 ქულა. II შედეგი აქვს მსოფლიოს ჩემპიონს თავისუფალ ვარჯიშში კურტ თომასს (აშშ) — 58,0 ქულა. III ადგილზეა ერევნელი ედუარდ აზარიანი — 57,8 ქულა.



სურათებზე: მარია ფილატოვა და ალექსანდრე დიტიატინი.

...ეკითხეთ

...ეკითხეთ

...ეკითხეთ

ჩვენი ხალხი ...ინდელი ...ემაყოთ აღნიშნავს ...ერთ ...ლიტერატურის ...ულ ...ბაკო ცურტაველს — „...ბოლოს ...ამების“ 1500 წლისთავს.

მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი მხატვრული ნაწარმოები არის არა მარტო V საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების, მისი ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მატიანე, არამედ ქართველი ხალხის და მისი ლიტერატურის ინტერნაციონალური სულისკვეთების, კერძოდ ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მნიშვნელოვანი დოკუმენტიც.

1500 წლის „შუშანიკის წამება“ დღეს ჩვენს წინაშე წარმოჩნდება როგორც დიდი პროლოგი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელიც პოპულარული და მისაწვდომია ჩვენს დიად ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში.

ჩვენი საამაყო „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა გუშინ, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

თხილამურები

ზალცბურგში (ავსტრია) დაიწყო მსოფლიოს თასის მორიგი გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. სენსაციას წარმოადგენდა საბჭოთა სპორტსმენის, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონის, 21 წლის ვლადიმერ მაკეევის III ადგილი სწრაფდაშვების ტრასაზე. მან მხოლოდ 13 მეასედი წამი წააგო გამარჯვებულთან — კანადელ კენ რიდთან (1.32,11). II ადგილზეა ჩემპიონის თანამემამულე დეივ მიურეი — 1.32,17.

როგორ გემსახურებიან? — მე-2 გვ.

საქართველოს სუპერთასი — ფოთის „კოლხეთს“



— მე-3 გვ.

უძლიერესნი დედაქალაქის ტანმოვარჯიშეთა შორის — მე-3 გვ.

ინტერვიზიის თასზე — მე-3 გვ.

„მომსახურების სფეროს ტუილად როდი უწოდებენ კარბი განწყობილების სამსახურს. ვაჭრობის მუშაკთა ლირსების საქმეა თბილად შეხვდნენ და სანიმუშოდ მოემსახურონ მომხმარებელს, გულისხმიერად მოეკიდონ მათს მოთხოვნილებებს. მუშაობის კულტურის ამაღლება ხელს შეგვიწყობს წარმატებით შეასრულოთ გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, უფრო მეტი გავაკეთოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის“.

„პრავდა“. 8 დეკემბრის მოწინავე.

როგორ გემსახურებიან?

რამდენიმე პრობლემა,

ერთმა თათბირმა რომ წარმოგვისახა

ფიზიკულტურისა და სპორტის პოპულარობის ზრდამ, რაც განსაკუთრებით თვალნათელია ბოლო წლებში, თავის მხრივ ახალი პრობლემები დააყენა იმ ორგანიზაციათა წინაშე, რომლებსაც ევალებათ სპორტის მოყვარული მოსახლეობის და მათ შორის სპორტსმენთა შესაბამისი ფორმით, ტანსაცმლითა თუ ფეხსაცმლით, აგრეთვე, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა.

რაც დრო გადის, აშკარად ჩანს, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი უმეგობრდება ფიზიკულტურას, იზრდება სპორტსმენ-თანრიგოსანთა რიცხვი, შესაბამისად — სპორტული შედეგები, რეკორდები. ეს კარგია, შესანიშნავი! მაგრამ აბა განვსაჯოთ: შეიძლება თუ არა ფიზიკულტურისა და სპორტის მასობრიობაზე ფიქრი, ახალ რეკორდებზე, ჩემპიონებზე ოცნება თუ ვერ შევძლებთ სწორედ იმდენი და ისეთი ხარისხის სპორტული ფორმა თუ ინვენტარი მივაწოდოთ მათ, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება?

ნათელია, რომ ფიზიკულტურისა და სპორტის ხვალინდელი დღე, მისი მასობრიობა და მაღალი სპორტული შედეგები პირდაპირ კავშირშია იმ ადამიანების მონდომებასთან, კეთილსინდისიერებასა და მაღალ შეგნებასთან, ვისაც ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის ერთერთი მამოძრავებელი ბერკეტი უპყრია ხელთ.

ლაპარაკია ის ადამიანებზე ვინც, რომ იტყვიან, უნდა ჩააცვას და დააბუროს ჩვენს ფიზიკულტურელებსა და სპორტსმენებს, მიაწოდოს მათ სწორედ იმდენი და ისეთი ხარისხის სპორტული ფორმა თუ ინვენტარი, რამდენი და როგორიც მათ სურთ და ეკადრებათ.

კონკრეტულად, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, ეს ადამიანები არიან საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ მუშაკები.

იციან თუ არა მათ იმ დიდი მისიის მნიშვნელობა, რაც აკისრიათ? და თუ იციან, როგორ ასრულებენ ამ კეთილშობილურ მისიას?

ამ კითხვებზე პასუხი მით უფრო საინტერესოა დღეს, როდესაც ყველგან — სოფლად თუ ქალაქად, დიდ-პატარა ცდილობს სპორტს ეზიაროს თუ ნაზიარებია — შეჯიბრებაში, თუნდაც რაიონულ სპარტაკიადაში გამოცადოს მუხლისა და მკლავის ძალა, ან უფრო მაღლა — რესპუბლიკისა, და ბოლოს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში თქვას სათქმელი.

ამასთან დაკავშირებით, სწორედ რომ დროულად გვეჩვენება საქართველოს „სპორტსაქონლის“ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის ჩატარება, მით უფრო — ამ თათბირზე ბევრი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა, ხარვეზი გახდა თვალსაჩინო, რომელმაც თავის მხრივ რამდენიმე დიდი პრობლემა წარმოგვიხსნა.

* * *

თათბირზე, როგორც წესი და რიგია, აღინიშნა გარკვეული წარმატებები, დადებითი მომენტები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა გაერთიანების მუშაობაში და ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.

მაგრამ რადგან თვით თათბირმაც გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმო ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებს და მათი გამოსწორების გზების ძიებას, ხოლო ჩვენი მკითხველისთვის გაცილებით საინტერესო სწორედ ესაა, ჩვენც თათბირის ანგარიშიდან ძირითად ყურადღებას ამაზე შევაჩერებთ.

საერთოდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თათბირი მართლაც რომ საქმიანი, თვითკრიტიკის ნიშნით მიმართული, და ამდენად, ცოცხალი და საინტერესო გამოდგა. მონაწილეთა გამოსვლებში, როგორც მომხსენებელი (გაერთიანების დირექტორის მოადგილე **ს. გიორგაძე**), ასევე კამათში მონაწილენი დაურიდებლად, ყოველგვარი შეფერადების გარეშე, ფაქტების მოშველიებით და, რაც მთავარია, გულსტკივილით ლაპარაკობენ იმ ნაკლზე, რომელიც აქ, იმედი უნდა ვიქონიოთ, თანდათან, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

თათბირზე პირველ რიგში გამოირკვა, რომ **გაერთიანების მუშაობის ასე ვთქვათ, „აქილევსის ქუსლია“ ვაჭრობის ორგანიზაციის დაბალი დონე.**

აი ფაქტებიც:

თბილისის № 9 სპორტსაქონლის მაღაზია (გამგე ლ. ნარიკაშვილი) ხშირად დაგვიანებით იღება. აქ გამეფებულია უსუფთაობა. შემოწმების დროს ზოგიერთი დასახელების საქონელს ფასი არ ედო, არ ჰქონდათ სპორტული საქონლის სიაც.

მზრუნველი ხელი აკლია თბილისის № 11 მაღაზიას (ქ. ნაცვლიშვილი), სადაც რიგიანად არც იციან საქონელი როგორ გამოფინონ. ასევე ითქმის № 13 (ნ. ბოგდანოვა), № 101 (ც. პეტრიაშვილი), № 105 (თ. ზურაბიანი) და სხვა მაღაზიებზე.

სპორტული საქონლით ვაჭრობის ყველა მუშაკმა დღეს კარგად უნდა იცოდეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროდუქციის გამოფენას ოლიმპიური სიმბოლიკით, მაგრამ ბევრგან ვერ იყენებენ საქონლის გასაღების ამ კარგ საშუალებას — ვერ ნახავთ 1980 წლის ოლიმპიადის ან სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის პროპაგანდის მასალებს.

ქუთაისის № 17 მაღაზიას (დირექტორი თ. ყიფიანი) უზრუნია ამ საკითხებზე. სათანადო კუთხეც მოუწყვია, მაგრამ... საქონლით არ არის უზრუნველყოფილი. ყიფიანი მეტ ყურადღებას უთმობს სათავო მაღაზიის საქმიანობას, მისი ფილიალები კი ამ ზრუნვას მოკლებულნი არიან.

სამწუხაროდ ხშირია ასეთი სურათიც: **მომხმარებელი, თუ კარგად არ დააკვირდება ფირნიშს და არ ამოიკითხავს, რომ მას საქმე სპორტულ მაღაზიასთან აქვს, ვერც კი მიხვდება სად მოხვდა — სპორტული საქონლით მოვაჭრე თუ სამრეწველო საქონლის მაღაზიაში. ასეთი ობიექტები, რომლებიც საქონელბრძნულის გეგმას უმთავრესად ჩვეულებრივი სამრეწველო ნივთების რეალიზაციის ხარჯზე ასრულებენ, ბუნებრივია, განზე უდგანან** სპორტული მაღაზიების უმრავლესობის უბრალო დათვალიერებითაც აშკარად ჩანს: აქ მეორე კატეგორიის საქონელს ხშირად უფრო „პატივს სცემენ“, ვიდრე წმინდა სპორტულს. ასეთ მაღაზიაში შეხვდებით ყველაფერს, იმპორტული სვიტერითა და კოსტუმ-შარვლით დაწყებულს და ათასგვარ საოჯახო ჩანთებით დამთავრებულს. **მაგრამ** ვერსად, ვერც ერთ მაღაზიაში ვერ ნახავთ მაგალითად, ქართულ საჭადაო ჩოხებს.

რამდენიმე სიტყვა ამგვარი ჩოხების შესახებ: ამ ბოლო ხანს ჩვენი საამაყო სპორტის ეროვნული სახეობა თითქმის მთელს საქართველოში კვლავ ადგას აღორძინების გზას. რესპუბლიკის რაიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში, შაბათ-კვირაობით კვლავ ისმის „საჭიდაო“; ტარდება სოფლის, რაიონის, რესპუბლიკის მასშტაბის ასპარეზობანი ქართულ ჭიდაობაში. დაიწყო, რომ იტყვიან, საჭიდაო „ბუმი“. ეს დიდი, ძალიან დიდი საქმეა, მაგრამ გამოჩნდა ე. წ. „ობიექტური“ მიზეზი, რომელიც ამ კეთილშობილ საქმის ხელისშემშლელი მუხრუჭი ხდება. **ეს არის საჭიდაო ჩოხების კატასტროფული სიმცირე.** თვით რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებშიც კი ფალავნები იძულებული არიან ერთმანეთისგან იქვე ინათხოვრონ ჩოხები, რომ ასპარეზობა შეძლონ.

ამის შესახებ „ლელოს“ ფურცლებზე არაერთხელ გვითქვამს ადრეც, მაგრამ ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ საკითხზე ვინმე პასუხისმგებელი პირის ან ორგანიზაციის პასუხი მიგვეღოს. ვითომ არ უნდა აინტერესებდეთ ამ პრობლემის გადაწყვეტა, ვთქვათ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მესვეურთ, ან ჩვენთან განლაგებული სპორტული საქონლის მწარმოებელი ფაბრიკების ხელმძღვანელებს?

გასაგებია, რომ ქართული ჭიდაობისთვის საჭირო ჩოხების შეკერვა ძნელი, როგორც ამბობენ „სახლაფორთო“ საქმეა და ვინაიდან მათი ძალზე დიდი „ტირაჟით“ გამოშვება საჭირო არც არის, ბუნებრივია, თვითღირებულებაც ... ბიან სპორტულ ... ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერთასი — „კოლხეთს“

თბილისი. ასკ-ს სტადიონი. 10 დეკემბერი.

„კოლხეთი“ (ფოთი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 8:0 (2:0).

„კოლხეთი“: ჩემინავა, ქაჯაია, ლურწკაია, ხ. ფილია, გუდავაძე, მ. ფილია, გვალია, ქორიძე, უურაშვილი, სანაია, ტყემუჩავა.

„მაღაროელი“: ზარიძე, მესხი, შერგელაშვილი, ჯანგავაძე, ცუცქირიძე, ლოლაძე, ჭელიძე, გურული, ოსაძე, ლომსაძე, მაღრაძე.

მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

რესპუბლიკური სუპერთასის მატჩი ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონებს (ფოთის „კოლხეთი“) და თასის მფლობელებს (ჭიათურის „მაღაროელი“) შორის დაიწყო ორივე მხარის აქტიური ბრძოლით. დაახლოებით 10 წუთის მანძილზე მეტოქეებს წარმატების თანაბარი შანსები ჰქონდათ, მაგრამ შემდგომში „კოლხეთმა“ სწორად გადაწყვიტა მინდვრის შუაგულში თამაშის სადაყეების ხელთ აღების პრობლემა. ამან ბრძოლა გაუადვილა თავდამსხმელებს, რომლებიც სისტემატურად ღებულობდნენ გადაცემებს შუა ზონიდან.

შემტევმა მხარემ უპირატესობის რეალიზაცია შეძლო მხოლოდ ტაიმის დასასრულს. მე-40 წუთზე „მაღაროელის“ კარში დაინიშნა საჯარიმო, რომელიც ქარვად იქნა გათამაშებული. გადამწყვეტი დარტყმა შეასრულა გუდავაძემ და მეკარე ზარიძე იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა პირველი ბურთი. ტაიმის ბოლო წუთზე ფოთელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ქორიძე მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და მეორედ აიღო კარი.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სიმწვავემ იკლო. „კოლხეთმა“ დამაჯერებლად ჩაატარა მეორე ტაიმი, ხოლო „მაღაროელმა“ თითქოს დაკარგა მდგომარეობის ხსნის იმედი და დამარცხებას შეურიგდა. ამის შედეგად ჭიათურელთა კარში კიდევ ერთი ბურთი იქნა გატანილი (უურაშვილი).

ფოთელმა ფეხბურთელებმა დამსახურებულად მოიპოვეს რესპუბლიკური სუპერთასი, რომელიც შარშან დაიწესა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ.

* * *

სურათებზე: თამაშის მომენტი; 1978 წლის სუპერთასის მფლობელი — ფოთის „კოლხეთი“.

ე. ხუციურაულის ფოტოები.

ფეხბურთი

● საკავშირო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა — 1075. შემდეგ მოდიან: კიევის „დინამო“ — 1071, თბილისის „დინამო“ — 1066, ლენინგრადის „ზენიტი“ — 1044, მოსკოვის „ტორპედო“ — 1043, მოსკოვის „სპარტაკი“ — 1041, ცსკა — 1040.

სტატისტიკა

● ყველაზე მეტი გამარჯვება აქვთ მოსკოვის დინამოელებს — 560, შემდეგ მოდიან „სპარტაკი“ — 504, თბილისის „დინამო“ — 484, ცსკა — 484, კიევის „დინამო“ — 471, „ტორპედო“ — 440.

● მოსკოვის დინამოელებმა გაიტანეს 1974 ბურთი, სპარტაკელებმა — 1768, თბილისელებმა — 1725, ცსკა-მ — 1685, კიეველებმა — 1652, ტორპედოელებმა — 1588.

● დაგროვებული ქულების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: მოსკოვის „დინამო“ — 1401, „სპარტაკი“ — 1276, კიევის „დინამო“ — 1276, თბილისის „დინამო“ — 1275, ცსკა — 1248, „ტორპედო“ — 1175 (აქ არ შედის ის ქულები, რომლებიც გუნდებს წლეულს ფრეების ლიმიტის ამოწურვის შემდეგ ჰქონდათ მოგროვილი).

ვ. ადამია.

მინდორზე არიან ოლიმპიური ჩემპიონები

ლენინგრადი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში მოიპოვა ჩემპიონთა ოქროს მედლები ფეხბურთში, ლენინგრადის სპორტთამაშობათა სასახლის მინდორზე ჩაატარა ამხანაგური მატჩი ლენინგრადის ვეტერანთა გუნდთან. მაყურებლებმა მინდორზე კვლავ იხილეს ი. ნეტო, ა. ილინი, ნ. ტიშჩენკო, ს. სალნიკოვი, ბ. ტატუშინი, ა. მასლიონკინი, განთქმული „დუეტი“ — ვ. ივანოვი, — ე. სტრელცოვი და ოლიმპიური ტურნირის სხვა გმირები.

სტრელცოვის ზუსტმა დარტყმამ მინიმალური ანგარიშით გამარჯვება მოუტანა ოლიმპიელებს.

„მარათონი“ კორტზე

პალმ სპრინგსის (აშშ, კალიფორნიის შტატი) კორტზე გაიმართა დევისის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა, რომელშიც აშშ-ს ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ინგლისელები — 4:1.

სტუმრებს ეს ერთადერთი გამარჯვება მოუტანა ბ. მოტრამ, რომლის შეხვედრა ბ. გოტფრიდთან ოთხნახევარ საათს გაგრძელდა — 4:6, 2:6, 10:8, 6:4, 6:3.

ამერიკელთა ნაკრების მთავარი „დამკვრელი ძალა“ **გახლდათ** 19 წლის ჯ. მაკინროი, რომელმაც იოლად დაამარცხა თავისი ორივე მოწინააღმდეგე ჯ. ლოიდი — 6:1, 6:2, 6:2 და მოტრამი — 6:2, 6:2, 6:1.

ამერიკელ ჩოგბურთელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვეტერანებმა, 31 წლის ს. სმითმა და ბ. ლუტცმა, რომლებმაც წყვილთა შეხვედრაში სძლიეს მ. კოკსს და დ. ლოიდს — 6:2, 6:2, 6:3.

ამ გამარჯვებით აშშ-ს სპორტსმენებმა დევისის თასი ოცდამეხუთედ დაისაკუთრეს.

საუკეთესონი

საქართველოს სსრ ჩოგბურთის ფედერაციამ და საქართველოს სპორტკომიტეტმა დამტკიცეს რესპუბლიკის **10 საუკეთესო ჩოგბურთელის** სია (1978 წლის შედეგების მიხედვით).

ქალები

1. ა. ივანოვა (დაბადებული 1946 წელს, „განთიადი“, თბილისი), 2-3. ნ. თუხარელი (1946, „დინამო“, თბილისი), მ. ელერდაშვილი (1956, „ბურევესტნიკი“, თბილისი), 4. ლ. ზერკინე (1959, „დინამო“, თბილისი), 5. გ. მინაევა (1959, „დინამო“, თბილისი), 6-8. მ. გოშაძე (1962, „დინამო“, თბილისი), მ. მალაციძე (1963, „დინამო“, თბილისი), 9. მ. მარუაშვილი (1954, „ბურევესტნიკი“, თბილისი), 10. ი. ფალავანდიშვილი (1962, „დინამო“, თბილისი).

გოგონები

1-3. მ. გოშაძე (1962, „დინამო“, თბილისი), მ. მალაციძე (1963, „დინამო“, თბილისი), კ. პეტროსიანი (1962, „განთიადი“, თბილისი), 4. ი. ფალავანდიშვილი (1962, „დინამო“, თბილისი), 5. ი. ბლუაშვილი (1960, „განთიადი“, თბილისი), 6. ე. სვანიძე (1963, „დინამო“, თბილისი), 7. ი. მალაციძე (1965, „დინამო“, თბილისი), 8-9. ი. კაზდანიანი (1963, განათლების სამინისტრო, გარდაბანი), ა. პოღოსოვა (1966, „განთიადი“, თბილისი), 10. ი. ანტონიჩევა (1962, „განთიადი“, სოხუმი).

ჩოგბურთი

ვაჟები

1. ა. მეტრეველი (1944, „დინამო“, თბილისი), 2. თ. კაკულია (1947, ასკ, თბილისი), 3. გ. ელერდაშვილი (1958, „ბურევესტნიკი“, თბილისი), 4. ვ. პერეგუდოვი (1946, „სპარტაკი“, თბილისი), 5. ვ. ბაკშინი (1954, „ბურევესტნიკი“, თბილისი), 6. ვ. ოსიპოვი (1952, „დინამო“, თბილისი), 7-8. გ. ზამბახიძე (1960, „განთიადი“, თბილისი), რ. გევორქიანი (1961, „დინამო“, თბილისი), 9. ე. პოდოსოვი (1957, „განთიადი“, თბილისი), 10-11. თ. ასლამაზიშვილი (1955, „ბურევესტნიკი“, თბილისი), ო. ხორუნჟინი (1961, „დინამო“, თბილისი).

ჰაგუკები

1-2. გ. ზამბახიძე (1960, „განთიადი“ თბილისი), ბ. გევორქიანი (1961, „დინამო“, თბილისი), 3. ო. ხორუნჟინი (1961, „დინამო“, თბილისი), 4. ი. კუხიანიძე (1960, „განთიადი“, თბილისი), 5. ბ. სეხნიაშვილი (1962, „დინამო“, თბილისი), 6. დ. ნოზაძე (1962, „დინამო“, თბილისი), 7. ა. მესროპოვი (1961, „დინამო“, თბილისი), 8. გ. ხუციშვილი (1962, განათლების სამინისტრო, მცხეთა), 9. ვ. ხურდა (1965, „დინამო“, თბილისი), 10-12. ე. ზენინი (1962, „დინამო“, თბილისი), დ. ისმაილოვი (1963, „ბურევესტნიკი“, თბილისი), ი. საღარაძე (1963, „დინამო“, თბილისი).

ასპარეზობა სკოლაა

განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა დედაქალაქის პირადგუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრს თავი აარიდეს ისეთმა ავტორიტეტულმა სპორტსაზოგადოებებმა, როგორიც არიან „ბურევესტნიკი“, „განთიადი“ (გოგონებში), ხოლო „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები მხოლოდ განაცხადის მოტანით დაემყოფილნენ.

ჩვენთან საუბარში შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი **ი. ბუჩიაშვილი** ბულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „შრომითი რეზერვების“ მთავარ მწვრთნელს ი. ონაშვილს განზრახული ჰქონდა სპორტის ოსტატ ჯ. ალთუნაშვილის საასპარეზოდ გამოყვანა, მაგრამ ალთუნაშვილის მწვრთნელმა მ. ბოგუსმა უარი თქვა ასეთ „უბრალო“ რანგის ღონისძიებაში მისი აღსაზრდელის გამოსვლაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული (დირექტორი, საქ. დამსახურებული მწვრთნელი მ. იმნაძე) და „დინამოს“ (დირექტორი, საქ. დამსახურებული მწვრთნელი თ. ასათიანი) სკოლების ქალთა და ვაჟთა გუნდებმა, რომლებიც გუნდურ ჩათვლაშიც ასეთივე თანმიმდევრობით განლაგდნენ. მონაწილეობდა, აგრეთვე, „განთიადის“ ვაჟთა გუნდი.

ქალებში სპორტის ოსტატთა პროგრამით ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო განათლების განყოფილების წარმომადგენელმა, 51-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა **ნანა ნაცვლიშვილმა** (მწვრთნელები — სპორტის ოსტატები დ. სირაძე და გ. მიუტაშვილი), რომელმაც საბოლოოდ 72,9 ქულა დააგროვა და ჩემპიონობაც მოიპოვა. II ადგილი დაიკავა გამარჯვებულის თანაგუნდელმა **სტელა მაისურაძემ** (71,9 ქ.), III იყო დინამოელი **ინგა ხატიაშვილი** (71,4).

ოსტატობის კანდიდატებს შორის I და II ადგილები განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა დაიკავეს შესაბამისად **მაია ბაზუაშვილმა** (მწვრთნელი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ე. გაგოშიძე) (71,0 ქ.) და **ბელა სისაურმა** (67,1 ქ.). III ადგილზე „დინამოს“ წარმომადგენელი **მაია გვარამაძე** (61,25) გამოვიდა.

ვაჟებში სპორტის ოსტატთა შორის ჩემპიონობა არავის დაუთმო გამოცდილმა სპორტსმენმა, დინამოელმა **გურამ ბახიამ** (მწვრთნელი სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი, 104,2 ქ.). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გურამი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია და არასდროს არ არიდებს თავს „შინაური“ რანგის შეჯიბრებებს, რითაც ახალგაზრდა სპორტსმენებს ეარგ მაგალითს აძლევს. II და III ადგილები წილად ხვდათ განათლების განყოფილების წარმომადგენლებს **ალეკო ხაჩატურიანსა** და **მერაბ პაპიაშვილს** (97,15 და 95,95).

ოსტატობის კანდიდატებში ყველას აჯობა განთიადელმა **თამაზ ეგრისელაშვილმა** (მწვრთნელი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. გასპარიანი).

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

სურათებზე: ნ. ნაცვლიშვილი, გ. ბახია, თ. ეგრისელაშვილი და მ. ბაზუაშვილი.

ავტორის ფოტოები.

ორნი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

„ინტერვიზიის თასის“ 11 წლის გათამაშების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთდროულად ორი სპორტსმენი ავიდა. ესაა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, 20 წლის კიეველი სტუდენტი ირინე დერიუგინა და ჩეხოსლოვაკიის აბსოლუტური ჩემპიონი, 16 წლის მოსწავლე დანიელა ბოშანსკა — 38,25 ქულა თითოეულს. II ადგილზეა ბულგარელი კრისტინა გიუროვა — 37,85.

მ ე რ ვ ე დ !

დასასრული

გობა გაუწია მეტოქეს. მასპინძლებმა შეძლეს არა თუ სტუმართა სახიფათო თავდამსხმელების ნეიტრალიზება, არამედ შეხვედრის 25-ე წუთისთვის ი. ნარიმანიძის ზუსტი სროლის შემდეგ 3 ქულით წინ გასვლაც — 12:9. ამას მოჰყვა მსოფლიო ჩემპიონების — სპორტის დამსახურებული ოსტატების რ. ვოინასა და შ. ბერტალანის ოსტატური ტყორცნები, რომელსაც ქართველმა ხელბურთელებმა ზუსტი 7-მეტრიანი სროლით (გ. ბერიაშვილი) უპასუხეს. 13:12 — ტაიმი ჩვენმა გუნდმა მოიგო. შესვენების შემდეგ მასპინძლები კიდევ ორჯერ გავიდნენ წინ, მაგრამ მატჩი საბოლოოდ მაინც რუმინელებმა მოიგეს — 26:22.

ამ დღეს იუგოსლავიელებმა ადვილად სძლიეს საბჭოთა ახალგაზრდულ ნაკრებს — 32:20 (12:9).

კვირა დილით ასპარეზობის უკანასკნელი ტური დაიწყო საქართველოსა და ჩეეყნის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრით. ანგარიში კარგა ხანს თანაბარი იყო, ტაიმიც ასე დამთავრდა (13:13), მაგრამ მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე დაწინაურდნენ ქართველი ხელბურთელები, რომლებმაც გამარჯვებამდე მიიყვანეს დაძაბული ორთაბრძოლა — 27:22.

21:17 — ასე დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩი, რომელმაც საბჭოთა ნაკრებს (მწვრთნელები ა. ევტუშენკო და ი. პრედეხა) თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში რიგით მერვე გამარჯვება მოუტანა.

უკომპრომისო ბრძოლით აღსავსე იყო ტურნირის უკანასკნელი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებთა შორის, რომელსაც II და III პრიზიორი უნდა გამოვლინა. ტაიმი რუმინელებმა მოიგეს — 13:11. შეხვედრის ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო და მაინც ჩეხოსლოვაკიელებმა იმარჯვეს — 25:24.

...გამარჯვებულ გუნდსა და პრიზიორებს სპეციალური ჯილდოები გადაეცათ, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს — სამახსოვრო პრიზები. ი ისინიც: საუკეთესო მეკარე — მარინ ხირნერი (ჩეხოსლოვაკია), საუკეთესო ბომბარდირი — შტეფან ბირტალანი (რუმინეთი) — 46 ბურთი, გამარჯვებული გუნდის საუკეთესო მოთამამე — ოლეგ გაგიი (40 ბურთი).

ო. ოთარაშვილი.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრკ I	4	1	0	137—95	9
ჩეხოსლოვაკია	3	2	0	135—119	8
რუმინეთი	3	0	2	128—105	6
იუგოსლავია	2	0	3	120—113	4
საქართველო	1	0	4	104—142	2
სსრკ II	0	1	4	107—152	1

● ● ●

სურათებზე: გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის რვაგზის მფლობელი სსრ კავშირის ნაკრები; ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები — მარინ ხირნერი (ჩეხოსლოვაკია), შტეფან ბირტალანი (რუმინეთი) და ოლეგ გაგიი (სსრ კავშირი).

ე. ხუციურაულის ფოტოები.

ამჯერად — „ვერცხლი“

ბრატისლავაში დამთავრდა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში. შეჯიბრების ლიდერებმა ბოლო დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ მიაღწიეს წარმატებას: სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 17:5 (7:1) მოუგო პოლონეთის გუნდს, ხოლო გდრ-ის ხელბურთელებმა სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს — 16:12 (8:5). გამარჯვებულებს ქულათა ერთნაირი რაოდენობა (8) დაუგროვდათ. ძალაში ახლა ბურთების სხვაობა შევიდა. იგი კი უკეთესი გდრ-ის სპორტსმენებს ჰქონდათ, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს. საბჭოთა ხელბურთელებს ვერცხლის მედლები გადაეცათ. შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა უნგრეთის გუნდი, რომელმაც სძლია იუგოსლავიელებს — 14:12 (8:7).

ოლიმპიერ ტაბლაზე



შეარცხვინეს

სევასტოპოლელ მოსწავლეს გალინა პროზუმენშჩიკოვას აზრადაც არ მოსვლია სპორტსმენი გამხდარიყო. მაგრამ ერთხელ თავის კლასთან ერთად მონაწილეობა მიიღო სასკოლო სპარტაკიადაში და აქ გაირკვა, რომ მან ცურვა არ იცოდა.

ერთ-ერთი მისი ამხანაგი გაოცდა:

— როგორ არა გრცხვენია, მეზღვაურის შვილი წყალში კნუტივით ფართხალებ!

იმ დღის შემდეგ გალინა ყოველდღე დადიოდა პლაჟზე. მისი პირველი მწვრთნელი იყო მამა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი. გოგონამ ცურვის დიდი ნიჭი გამოავლინა და მისი შედეგით მალე დაინტერესდნენ მწვრთნელები. რამდენიმე წლის შემდეგ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში პროზუმენშჩიკოვამ ბრასის სტილით ცურვაში ოქროს მედალი დაისაკუთრა.

რა არის „ჰიდაობა“

მონრეალში, ძიუდოისტთა ოლიპიურ ტურნირში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა რ. ხარშილაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისით ძალიან დაინტერესდნენ იაპონელი მწვრთნელები და ჟურნალისტები. მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორთან ინგლისელ დ. სტარბრუკთან გამარჯვების შემდეგ იაპონელები ცდილობდნენ გაეგოთ რამაზისაგან, თუ რამ შეუწყო ხელი ასეთი მრისხანე მეტოქის დამარცხებაში.

რამაზი გასახდელისაკენ მიიჩქაროდა და მოკლედ უპასუხა:

— მე დამეხმარა „ჭიდაობა“ (სპორტსმენი ქართულ ჭიდაობას გულისხმობდა).

რამდენიმე დღის შემდეგ ტურნირის პრიზიორთა პრეს-კონფერენციაზე იაპონელმა ჟურნალისტმა მიმართა ხარშილაძეს:

— ჩვენ გადავთვალიერეთ ძიუდოზე არსებული ყველა ცნობარი, მაგრამ ვერსად ვერ ვპოვეთ ილეთი, რომელსაც ჰქვია „ჭიდაობა“. ეს, ეტყობა, რაღაც ახალია.

რამაზმა გაიღიმა:

— არა, „ჭიდაობა“ — ეს ჩვენი ეროვნული ჭიდაობაა, რითაც დაიწყო ყველა ქართველმა ჩემპიონმა.

ორივე ნოკდაუნში...

ტოკიოს ოლიმპიური რინგი უიმეაათესი შემთხვევის მოწმე გახდა: რუმინელი მოკრივის კ. გრუდუსა და კუბელი რ. კამინეროს შეხვედრაში მეტოქეებმა ერთდროულად ისეთი დარტყმა მიაყენეს ერთმანეთს, რომ ორივე ნოკდაუნში აღმოჩნდა.

კამინერომ პირველმა მიიღო საბრძოლო მდგომარეობა. მეტოქემაც არ დააყოვნა. ბოლოს და ბოლოს ორთაბრძოლა მოიგო რუმინელმა მოკრივემ.

იტალია

9 ტურის შემდეგ გათამაშებას ორი ლიდერი ჰყავს — „მილანი“ და „პერუჯა“, რომლებმაც 14-14 ქულა მოაგროვეს, ამასთან ორივე ლიდერი ფრეს დასჯერდა: „მილანი“ ნეაპოლში „ნაპოლისთან“ — 1:1, ხოლო „პერუჯა“ შინ „ტორინოსთან“ — 0:0.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „აველინო“ — „ფიორენტინა“ 1:1, „ბოლონია“ — „კატანია“ 1:1, „ინტერი“ — „ატალანტა“ 2:2, „იუვენტუსი“ — „ასკოლი“ 1:0, „ლაციო“—„ვერონა“ 1:0, „ლანეროსი“ — „რომა“ 1:0.

საფრანგეთი

ლიდერი — „რესინგი“ (სტრასბურგი) სტუმრად დამარცხდა „ნანტთან“ — 0:3, მაგრამ 21 ტურის შემდეგ 28 ქულით მაინც ინარჩუნებს I ადგილს (მას ერთი მატჩი გამოტოვებული აქვს). „მონაკომ“ შინ მოუგო ლილის „ოლიმპიკს“, ასევე 28 ქულა მოაგროვა და II ადგილზეა. 27 ქულა აქვს „სენტ-ეტიენს“, 26 — „ნანტს“.

ესპანეთი

XI ტურის მატჩი მადრიდში ადგილობრივ გუნდებს „ატლეტიკოსა“ და „რეალს“ შორის დამთავრდა ფრედ — 2:2. „ატლეტიკომ“ ითამაშა სტუმრად გამოტოვებული მატჩი „სალამანკასთან“ და ისიც ფრედ დასრულა — 2:2.

11 ტურის შემდეგ მტკიცედ ლიდერობს „რეალი“ (მადრიდი) 17 ქულა. 13-13 ქულა მოაგროვეს „ბარსელონამ“ (ერთი მატჩი გამოტოვა), ბილბაოს „ატლეტიკმა“, ლას-პალმასის „უნიონმა“ და მადრიდის „ატლეტიკომ“.

დანია

გათამაშების საბოლოო შედეგები ასეთია: 44 ქულით ჩემპიონი გახდა „ვეილე ბკ“, 40 ქულა მოაგროვა „ესბიერგ ბკ“-მ, 39 — „აარჰუსმა“, 38 — „ოდენსე ბკ“-მ.

შვეიცარია

15 ტურის შემდეგ ლიდერობს „ციურიხი“, რომელმაც შინ სძლია „ჩიასოს“ — 2:0 და 21 ქულა მოაგროვა. სტუმრად გაიმარჯვა (5:1) „სერვეტმა“ (ქენევა) „სიონთან“ და 20 ქულით II ადგილზე გადაინაცვლა. ასევე 20-20 ქულა მოაგროვეს „სენტ-გალენმა“ და ბერნის „იანგ ბოისმა“.

● **„1978 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის დაძაბული მომენტები“ — ასე ეწოდება ფრანგი რეჟისორის ჟ. ლ. გილერმის ფილმს, რომელიც მან ამ ზაფხულს გადაიღო არგენტინის სტადიონებზე. ფილმში ასახულია განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დაძაბული მომენტები.

● **ბრაზილიელმა** პელემ სამუდამოდ დაანება თავი ფეხბურთს, მაგრამ იგი ჯერჯერობით ისევ ნიუ-იორკში ცხოვრობს, სადაც ამერიკელ ბავშვებს ასწავლის ფეხბურთის თამაშს. ამ მიზნით მან ნიუ-იორკში გახსნა სპეციალური სკოლა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. პირველი, ვინც პელესთან მიიყვანა ბავშვი ფეხბურთის სასწავლებლად, იყო ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვ. ოვერატი.



ბელგია

XIV ტურის ცენტრალური მატჩი „ანტვერპენმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო „ანდერლეხტს“ — 1:0. გაიმარჯვა ლიდერმა — „სკ ბევერენ-ვაასმაც“, რომელიც „შარლეროუს“ ხვდებოდა — 2:1. „ბრიუგმა“ კიდევ ერთი ქულა დაკარგა შინ „ვინტერსლაგთან“ — 2:2.

14 ტურის შემდეგ 19 ქულით წინ არის „სკ ბევერენ-ვაასი“, რომელსაც ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს. 18 ქულა მოაგროვა „ანტვერპენმა“, 17-17 — „ანდერლეხტმა“, „ბრიუგმა“ და „მოლენბეკმა“.

ჰოლანდია

15 ტურის შემდეგ მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში საკმარისად დაძაბულია. „დანდი იუნაიტედს“ 18 ქულა აქვს, „აბერდინს“, „სელტიკსა“ (გლაზგო) და „პარტიკ თისლის“ — 17-17. თანდათან გამოაჯწორა მდგომარეობა „გლაზგო რეინჯერსმაც“, რომელმაც 16 ქულა მოაგროვა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

მ ო კ ლ ე დ

● **ნიუ-იორკის** „კოსმოსმა“ წაგო კიდევ ერთი საგასტროლო მატჩი და ისიც სრულიად უცნობ გუნდთან — ბოლივიის „კარ ბოლივართან“. განთქმული ვარსკვლავებისგან შემდგარმა კლუბმა მარცხი განიცადა ანგარიშით 0:2.

● **მომავალი** ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ფინეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი ნაკრების მწვრთნელად ჩეხოსლოვაკიიდან მიიწვია ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშე ი. პეცეკი.

● **განთქმული** არგენტინელი ფეხბურთელი ო. სივორი, რომელმაც დიდ პოპულარობას მიაღწია იტალიის „იუვენტუსსა“ და „ნაპოლიში“, დაუბრუნდა თავის სამშობლოს. ამჟამად იგი ავარჯიშებს ბუენოს-აირესის ფკ „ველესს“, რომელიც განვლილ ეროვნულ ჩემპიონატში მე-16 ადგილზე იმყოფებოდა.

მხიარული ფანქრით



— კიდევ იტყვიან, სპორტული ინვენტარი უქმად გვიყრია?

ა. ოქროპირიძის ნახატი.

1978 წლის 15 დეკემბერს, 12 საათზე, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 5) გაიმართება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს IV პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. III საკავშირო და რესპუბლიკური საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშების შედეგები და საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადება რესპუბლიკის სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები. (მომხსენებელი ნ. სომხიშვილი).

2. პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (ა. ბატონისაშვილის ინფორმაცია).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასაევისა. რედაქციის მისამართი: 380006, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97 54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — **УЭ 12206**